საქართველოს კანონი
„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №23-24, 30.06.1998, გვ. 37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის :
ა) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ნ) ეტიკეტი – კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი ტექსტობრივი ინფორმაცია და გრაფიკული გამოსახულება, რომელიც მიკრულია, დაბეჭდილია, ამოტვიფრულია ან სხვა სახით დამაგრებულია სამომხმარებლო ტარაზე;’’.

ბ) ,,ჟ[1]“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ჟ[2]“ქვეპუნქტი:
,,ჟ[2]) თანხმობა ვენახის გაშენებაზე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს აძლევს უფლებას გააშენოს სამეწარმეო ვენახი;“.

გ) „ჰ[11]“ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,ჰ[11]) სამომხმარებლო ტარა - ტარა, რომელშიც დაფასოებულია ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტი სამომხმარებლო ბაზარზე განთავსებისათვის;“.

2 . მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. სამეწარმეო ვენახის გაშენება დასაშვებია სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე და გასაშენებლად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ნებადართული ვაზის ჯიშ(ებ)ი.“.

3. ამოღებულ იქნეს მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

4. 33[5] მუხლის:
ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :
,,1. ღვინის კომპანია ვალდებულია აღრიცხოს ალკოჰოლიანი სასმელის, სპირტის, ვაზის სამყნობი მასალისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოებასა და შენახვასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესები და სააგენტოს წარუდგინოს სავალდებულო შეტყობინებები.“

ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. 33[6] მუხლს 1[5] პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1[6] პუნქტი:
,,1[6]. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა 2026 წლის 1 მარტამდე გამოსცეს ბრძანება ,,სამეწარმეო ვენახის გაშენების წესის განსაზღვრის შესახებ.“.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**